

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1**

**ქ. თბილისი**

**2015 წლის 26 იანვარი**

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:** 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. ბერუაშვილი ანზორი 5. გოგინავა უშანგი 6. ხომერიკი რამაზი 7. თუთბერიძე ბექანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგეჭკორი არნოლდი 10. ხაჩიძე მანანა 11. ბახტურიძე პაატა 12. თუმანიშვილი გიორგი 13. ცისკაძე მარიამი 14. თოდუა ნონა 15. კუპრაძე ირაკლი 16. იმნაძე პაატა 17. მარგველაშვილი ვლადიმერი 18. ოკრიბელაშვილი ნინო 19. წერეთელი მარი 20. შამილიშვილი მანანა 21. ლორთქიფანიძე ლევანი 22. საბაური შალვა 23. ჩახუნაშვილი ნინო 24. ლორია კახაბერი 25. გორდუზიანი ლევანი 26. გელოვანი ნანი 27. თაბუაშვილი აპოლონი 28. ბრაჭული ირაკლი 29. ოთხმეხური გიორგი 30. პაიჭაძე თამარი 31. ჯებაშვილი ნანა 32. მინდიაშვილი თეონა 33. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. გერსამია მარიამი 5. ცერცვაძე თენგიზი 6. გალდავა გიორგი 7. კოპალეიშვილი მაია 8. სურგულაძე ნუგზარი 9. სამსონია შოთა 10. ომანაძე როლანდი 11. სილაგაძე ავთანდილი 12. ჭკუასელი ქეთევანი (დანართი 2)

***დღის წესრიგი:***

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილების დამტკიცება

2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №8/2015 დადგენილების დამტკიცება

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №1/2015 დადგენილების დამტკიცება

5. სხვადასხვა

### ***დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.***

1. თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი ღვედაშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის #122/2014 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილებას ემატება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის სავალდებულო მინიმუმის შესახებ მოწესრიგება, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება. თითოეული ფაკულტეტის პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორისათვის დგინდება განსხვავებული მოთხოვნები, რომლებიც მათ გარკვეული პერიოდის მანძილზე უნდა განახორციელონ. თითოეული სამეცნიერო აქტივობა შეფასებულია გარკვეული ქულით. მომავალში იგეგმება სასწავლო და სერვისის კომპონენტების თაობაზე დაწვრილებითი მოწესრიგების შემუშავება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი დადგენილება გაუმართავია და მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. არ შეიძლება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა შევაფასოთ მექანიკური თვლადი პარამეტრებით, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებლად და პროფესორის ხელფასი იცვლებოდეს იმის მიხედვით, რამდენი ქულა დაუგროვდა მას დროის გარკვეულ მონაკვეთში. ეს მნელად ეთავსება დღეს მოქმედ და სამართლებრივად საეჭვო ანაზღაურების სისტემას, რომელიც პროფესორებს განასხვავებს საათობრივ დატვირთვასთან მიზმული კატეგორიებისა და ფაკულტეტების შემოსავლის მიხედვით. უმჯობესია დღეს მივიღოთ დადგენილება, რომლითაც დეკლარირებული იქნება პროფესორის დატვირთვაში სასწავლო, სამეცნიერო და ადმინისტრირების/სერვისის კომპონენტები და დავავალოთ ფაკულტეტებსა თუ შესაბამის სამსახურებს, გარკვეულ ვადაში შეიმუშავონ გონივრული რეგულაციები.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის მასშტაბით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების კუთხით. თუმცა აღნიშნული არაა საკმარისი, რადგან თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს. აკადემიური საბჭოს დადგენილების მიზანია

სამეცნიერო საქმიანობის წახალისება და სამეცნიერო კვლევის წინა პლანზე წამოწევა. ამასთან, დადგენილების სამუშაო ვერსია გაცილებით უფრო მკაცრ მოწესრიგებას ითვალისწინებდა, თუმცა, საბოლოოდ, გადაწყდა, რომ დადგენილიყო მინიმალური სტანდარტი.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ნონა თოდუამ, მარიამ ცისკაძემ, ლია მაჭავარიანმა, ბატონებმა - გიორგი ოთხმეზურმა, ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ, შოთა შაბურიშვილმა და აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნანი გაფრინდაშვილმა.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:*

*მომხრე: 31*

*წინააღმდეგი: 1*

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს ერთმა წევრმა.

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილება. (დანართი 3)

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ქალბატონმა დარეჯან თვალთვაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №8/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, ცვლილება განპირობებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის თანამდებობრივი სარგოს მატებით. ფაკულტეტმა გადაანაწილა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი თანხა და შესაძლებელი გახდა აკადემიური პერსონალისათვის ხელფასების ზრდა. რა თქმა უნდა, სასურველისგან ეს ყოველივე შორსაა, თუმცა, შესაძლებლობების გათვალისწინებით, მომავალშიც დაგეგმილია ხელფასის ეტაპობრივი გაზრდა.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:*

*მომხრე: 33*

*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №8/2015 დადგენილება. (დანართი 4)

3. ქალბატონმა ნათია ჩიტაშვილმა წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილება. მისი განცხადებით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი 2011 წლიდან არსებობს. ის დაარსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხრეთ ტეხასის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის პარტნიორობის ინსტიტუტის პარტნიორობით. წარმოდგენილი დადგენილებით ცვლილება შედის ცენტრის დებულების რამდენიმე მუხლში, დეტალურად გაიწერა ცენტრის საქმიანობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი და მის სახელწოდებაში სიტყვა „ნაციონალურს“ ჩაანაცვლებს სიტყვა „ეროვნული“.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ბეჟან თუთბერიძემ.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:*

*მომხრე: 33*

*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „სსიპ - ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №4/2015 დადგენილება (დანართი 5)

4. ქალბატონმა თამარ მახარაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №1/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, დადგენილებით ცვლილებები შედის ცენტრის სტრუქტურაში და მას ემატება დირექტორის მოადგილის თანამდებობა. სხვა არსებითი ცვლილების საჭიროება დღის წესრიგში არ დგას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - მარი წერეთელმა და ნონა თოდუამ.

*საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:*

*მომხრე: 33*

*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის №1/2015 დადგენილება. (დანართი 6)

5. პროფესორმა რამაზ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია უნივერსიტეტის ჰიმნთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის 50 წლის იუბილისთვის შეირჩა ჰიმნი მისი ავტორობით. წლების განმავლობაში მუსიკა სრულდებოდა სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებაზე, თუმცა ოფიციალური სტატუსი დღემდე არ გააჩნია. მან წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს გადასცა მასალები, რათა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ შესაძლო ჰიმნის ტექსტსა და მუსიკას.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდუზიანმა წარმომადგენლობითი საბჭოს შესთავაზა, შეიქმნას უნივერსიტეტის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტდება. მართალია, უნივერსიტეტში შექმნილია რეფორმირებისა და მოდერნიზაციის კომისია, თუმცა არჩევით

ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ჯგუფი საინტერესო იდეებსა და წინადადებებს შეიმუშავებს, რაც უნივერსიტეტის განვითარებას მნიშვნელოვნად წაადგება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა წარმომადგენლობით საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, შეიქმნას საქველმოქმედო ფონდი, რომელიც იზრუნებს იმ სტუდენტთა დაფინანსებაზე, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

დიმიტრი გეგენავა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 26 იანვარი


ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა



- თოდუა ნუგზარი



- მექვაბიშვილი ელგუჯა



- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია

- გოდერძიშვილი ლია

- ბერუაშვილი ანზორი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უმანგი



- ხომერიკი რამაზი



- თუთბერიძე ბეჟანი




- მაჭავარიანი ლია



- გეგეჭკორი არნოლდი



- ხაჩიძე მანანა



სტუდენტები:

- ბეჟური ბექა

- ბახტურიძე პაატა



იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი



- ცისკაძე მარიამი



- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა

- კუპრაძე ირაკლი






მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო




სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი


პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა



სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა



ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

*ჩახუნაშვილი ნინო*

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

*ლორია კახაბერი*  
*გორდეზიანი ლევანი*  
*გელოვანი ნანი*  
*თაბუაშვილი აპოლონი*  
*ბრაჭული ირაკლი*  
*ოთხმეზური გიორგი*  
*პაიჭაძე თამარი*

სტუდენტები:

- ჯეგაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

*ჯეგაშვილი ნანა*  
*მინდიაშვილი თეონა*













თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

*გაიპარაშვილი ზურაბი*

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 26 იანვარი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 
- გაფრინდაშვილი ნანი 
- ქურდაძე რამაზი 
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი 
- ცერცვაძე თენგიზი 
- გალდავა გიორგი 
- კოპალეიშვილი მაია 
- სურგულაძე ნუგზარი 
- სამსონია შოთა 
- ომანაძე როლანდი 
- სილაგაძე ავთანდილი 
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი 
- აბაშიძე თამარი

დადგენილება №122/2014  
29 დეკემბერი, 2014

**„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისა და იურიდიული დეპარტამენტების 26.12.2014, №44932/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოადგენს ანაზღაურებას სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისა (აკადემიური პერსონალის დატვირთვის 50%) და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის (აკადემიური პერსონალის დატვირთვის 50%) ამ დადგენილებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით შესრულებისათვის და აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოს ოდენობები განისაზღვრება წინამდებარე დადგენილების დანართი № 1, დანართი № 2, დანართი № 3, დანართი № 4, დანართი № 5, დანართი № 6 , დანართი №7-ის შესაბამისად.“

2. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ №1, დანართ №2, დანართ №3, დანართ №4, დანართ №5, დანართ №6 და დანართ №7-ში და ისინი ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით (დანართი №1), (დანართი №2), (დანართი №3), (დანართი №4), (დანართი №5), (დანართი №6), (დანართი №7).

3. დაემატოს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებას შემდეგი შინაარსის 8<sup>1</sup>-8<sup>9</sup> პუნქტები:

„8<sup>1</sup>. აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (სხვადასხვა კატეგორიის შესაბამისი აკადემიური პერსონალის სავალდებულო მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა) განისაზღვრება წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის დანართ №1, დანართ №2, დანართ №3, დანართ №4, დანართ №5, დანართ №6 და დანართ №7-

ის შესაბამისად, წარმოადგენს აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი პროდუქციის ერთობლიობას, რაც გამოიხატება ქულობრივად და არ უნდა წარმოადგენდეს წლის განმავლობაში 100 ქულაზე ნაკლებს (ამავდროულად ხელფასის სახით ანაზღაურებას ექვემდებარება წლიური მინიმალური სამეცნიერო სავალდებულო დატვირთვის შესრულება არაუმეტეს 100 ქულით).

8<sup>2</sup>. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის რომელი კომპონენტის და თითოეულ კომპონენტში რა სახეობის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციით შედგება კონკრეტული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სავალდებულო დატვირთვა, წყვეტს თავად აკადემიური პერსონალი, აკადემიური ავტონომიურობის ფარგლებში.

8<sup>3</sup>. როგორც წესი, სავალდებულო მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის თითოეული შემადგენელი ნაწილის (დატვირთვის შემადგენელი კომპონენტები, თავიანთი ქულობრივი წილით) გადაჭარბებით შესრულება არ ახდენს ამ ნაწილის ქულობრივ ზრდაზე ზეგავლენას. ფაკულტეტი უფლებამოსილია დაადგინოს ამ წესიდან გამონაკლისი, გარდა წინამდებარე დადგენილების დანართ №1, დანართ №2, დანართ №3, დანართ №4, დანართ №5, დანართ №6 და დანართ №7-ით გათვალისწინებული მე-8 კომპონენტისა, ხოლო ხსენებული დანართებით გათვალისწინებული მე-7 კომპონენტი შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ გაორმაგებას.

8<sup>4</sup>. აკადემიური პერსონალის მიერ მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს პასუხისმგებლობა (მათ შორის ფინანსური პასუხისმგებლობა, თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი ოდენობის გამოქვითვის სახითაც, რაც რეაგირებისთვის ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას) მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ხსენებული პასუხისმგებლობის მიზნით ყოველი კონკრეტული შემთვევა განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შექმნილი კომისიის მიერ და შემდგომი რეაგირება ხორციელდება ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე.

8<sup>5</sup>. ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის ერთი კალენდარული წლის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში და შესრულების შედეგების სრულფასოვნების შემოწმება (შედეგების შეჯამება) არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 20 იანვრისა ევალება დეკანსა და დეკანის მოადგილეს სამეცნიერო სფეროში (ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მეშვეობით).

8<sup>6</sup>. აკადემიური პერსონალის ერთი კალენდარული წლის სავალდებულო სამეცნიერო დატვირთვის შესრულების სრულფასოვნების შემოწმების შედეგები (საჭიროების შემთხვევაში სავალდებულო სამეცნიერო დატვირთვის შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის მასალებიც) ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს.

8<sup>7</sup>. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით და რექტორის თანხმობით, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებულ ვადებში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება ამ სტრუქტურულ ერთეულში მომუშავე აკადემიური პერსონალის მიერ მინიმალური სამეცნიერო სავალდებულო დატვირთვის შესრულებისა და შეუსრულებლობისა შესაბამისი კომისიის მიერ განხილვის შედეგების (საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობის ამსახველი მასალები) შესახებ ამ დებულების მიზნებისაგან განსხვავებული, ხსენებული დეპარტამენტის ფუნქციების (კომპეტენციის) შესაბამისი მიზნებისათვის.

8<sup>8</sup>. წინამდებარე დადგენილების მიზნებისათვის დამტკიცდეს „სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაცია“ (დანართი №8).

8<sup>9</sup>. წინამდებარე დადგენილების 8<sup>1</sup> – 8<sup>8</sup> პუნქტები და დანართი №8-ის მოთხოვნები არ ვრცელდება უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალზე, რომელსაც არ აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და თანამდებობაზე არჩეულია „უმადლეის განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ფაკულტეტი ვალდებულია ასეთ აკადემიურ პერსონალს სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვისათან ერთად დაუდგინოს თემატურად შესაბამისი სხვა შესასრულებელი დატვირთვის აუცილებელი სახეობები და ოდენობა.”

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
6. წინამდებარე დადგენილებაში შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების საფუძველზე ცვლილებები შესაძლოა ინიცირებული იქნეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდერნიზაციის მიზნით კომისიის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ“ უნივერსიტეტის 2014 წლის 5 დეკემბრის №20/04 ბრძანებით მოქმედი კომისიის მიერ.
7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
8. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, პროფესორი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1280 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1030 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 790 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა;**

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა;**

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა.**

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

#### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა;**



კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**.

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**.

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1440 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1170 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 910 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 10 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი  
სარგო

1. „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა;**

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა;**

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა.**

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

#### **ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა;**

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა;**

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა;**

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**.

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

### **ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:**

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**.

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

- ა) პროფესორი - თვეში 1580 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 930 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - (6საათი სააუდიტორიო, 6 საათი საკონსულტაციო), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - (12 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. **„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

- ა) პროფესორი - თვეში 1950 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1550 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1110 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური

სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - (8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - (10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო), ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 26 საათი - (14 საათი სააუდიტორიო, 12 საათი საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

7. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის „ბ“ და მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული „ბ“ და „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

8. წინამდებარე დანართის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით დაშვებული /გათვალისწინებული/ შემთხვევებისა, ნებადართულია ასევე არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი  
სარგო

1. „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 2050 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

**ბ.ა) პროფესორი:**

